№ 242 ნოემბერი 8, შაბათი 1886 ნოემბერი 8 შაბათი № 242

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტერიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

ქართული თეატრი

კვირას, 5 გიორგობისთვეს,

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება კოტე ყიფიანის მონაწილეობით:

I

რაც გინახავს—ვეღარ ნახავ

კომედია 3 მოქმედებად, ავქს. ცაგარლისა.

II

გულმა იგრძნო

ვოდევილი 1 მოქმედებად, გადმოთარგმნილი რუსულიდამ.

მოთამაშენი: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, მელიქოვისა, ლეონიძისა; ბბ. აბაშიძე, ალექსეევ-მესხიევი, აწყურელი, ტვეიაველი, ნებიერიძე, მაქსიმიძე, ცაგარელი, და სხვ.

დასაწყისი 7½ საათზე

ტფილისი, 6 ნოემბერი

ევროპაშიაც დიდი ხანია შეჰნიშნეს, რომ ვაჭრების ერთს პირზედ დგომამ გაათახსირა, დაიმონავა პირდაპირი მომქმედი რაიმე ჭირნახულისა, და ცალკე კაცის მოშჭირნეობამ, მხნეობამ და ჭიდილმა ვერ დაიხსნა გამრჯელი და მომქმედი მათის ხელიდამ და ძალმომრეობიდამ. 1820 წლიდამ საფრანგეთსა და გერმანიაში აღიძრა აზრი დასახსნელად მრეწველობისა ამ უნუგეშო ყოფისაგან. რომ გავიგოთ, ამ აღძრულმა აზრმა როგორ იბარტყა და რაზედ მიჰმართა თავისი ძალ-ღონე, ჯერ ყველაზედ უწინარეს უნდა გამოვარკვიოთ, რა არის ვაჭარი და რაში მდგომარეობს მისი საქმე. ვაჭარი შუა-კაცია ჭირნახულის მომქმედთა და ჭირნახულის მხმარებელთა შორის. რაც მეტი აქვს ჭირნახულის მომქმედს, იმას ართმევს აღებ-მიცემობით და აწვდის მხმარებელს, რომელსაც ჭირნახული უჭირს საკვებავად და სახმარად. ამ შუა-კაცობაში ვაჭარი იღებს თავის ხარჯს გარეითად თავის გასამსჯელოს, თავის სადალალოს. ეს სადალალო იმოდენად ბევრია, რამოდენადაც ჭირნახული ნაკლებ ნაყიდია და მეტად გაყიდული. ადამიანი საზოგადოდ და ვაჭარი განსაკუთრებით ხარბია და ამიტომაც ვაჭარი სულ იმის ცდაშია: რაც შეიძლება ნაკლებ იყიდოს და რაც შეიძლება მეტად გაჰყიდოს. ეს ცდა მოჭირნახულესაც ხელში ლუკმას უტეხს და მხმარებელსაცა. ორივე ესენი ჰზარალობენ და ამათს ზარალზედ შენდება მოგება სინიდისზედ ხელაღებულ ვაჭრისა. რადგანაც ცხოვრება ადამიანისა გაჭირდა, შოვნა ლუკმა პურისა დამძიმდა და გაძვირდა, ვაჭრობის უსინიდისობამაც იმატა და ეხლა ვაჭარი უფრო ბევრს ითვლის თავისაკენ, ვიდრე ოდესმე. რა გზით ახერხებს ამას ვაჭრობა, ჩვენ წინა წერილში მოვიხსენიეთ.

ამ გარემოებამ მეტად ჩააფიქრა მოჭირნახულენი და მხმარებელნიცა. იგრძნეს, რომ ერთიც და მეორეც იწველებიან ვაჭართაგან. შეუტყუეს მანქანებაც, რომ აქ ერთ პირზედ დგომა აძლევს ვაჭრობას ძალ-ღონეს წველისას და ამიტომაც ამ ერთს პირზედ დგომასვე წაავლეს ხელი, როგორც სახსარს თავის ხსნისას. იფიქრეს, რატომ ჩვენ კი არ შევიძლიან ერთს პირზედ დგომა? რატომ ჩვენ კი არ შევიძლიან ჩვენი საქმე ისე მოვაწყოთ, რომ მხმარებელი და მოჭირნახულე ერთმანეთს შევყაროთ უშუაკაცოდაო და თუ შუა-კაცობა მაინც და მაინც საჭიროა, ჩვენ თვითონ კისრად ვიდოთ ეს შუა-კაცობაო!.. ამ აზრებმა ევროპაში ფესვი გაიდგეს, მოედანი დაიჭირეს და ნაყოფიც მოიტანეს. შესდგა ზედი-ზედ ეგრედ წოდებული „ამხანაგობა მხმარებელთა“ მრავალ გვარი. ამ ამხანაგობის აზრი ის იყო, რომ პირდაპირ მოჭირნახულესთან ჰქონოდა საქმე, მისგან პირდაპირ ეყიდნა ჭირნახული და თავის წევრთათვის მიეყიდნა და ამ სახით ის სადალალო, რომელიც ვაჭარს მოგებად დაჰრჩებოდა, ან მოჭირნახულესა და მხმარებელს შორის გაეზიარებინა, ან მარტო მხმარებელთათვის დაეგუთნა. რა თქმა უნდა, რომ პირველს საფუძველზედ აშენებული ამხანაგობა უფრო სამართლიანი იყო, მაგრამ სიხარბეს ზოგჯერ თავი ვერ შეემაგრა და ზოგიერთი ამხანაგობა თავისაკენ თლას უფრო ჰრჩეობდა. მაინც-და-მაინც ამხანაგობას, როგორც კრებულს, ის ცალკე კაცის სიხარბე არ ექმნებოდა, რომ განწირულებამდე მოჭირნახულე მიეყვანა, როგორც ცალკე ვაჭარს მიჰყავს და მოჭირნახულე ამაში ცოტასა თუ ბევრს შეღავათსა ჰპოულობდა.

ჩვენ ეს «მხმარებელთა ამხანაგობა» დღეს ისე არ გვიზიდავს, როგორც მოჭირნახულეთა ამხანაგობა და ამიტომაც ჩვენ ამ უკანასკნელზედ ვილაპარაკებთ მით უფრო, რომ ჩვენის ტკივილის წამალს ამ ამხანაგობაში უფრო ვხედავთ. ჩვენს ქვეყანას, რომელსაც მოჰყავს კარგა ბლომად პური, ქერი, სიმინდი, ღვინო და რომელიც, მაშასადამე, ამათ რიგიანად გასაღებაში უნდა ეძებდეს სათავეს თავის კეთილ-დღეობისას, უფრო მოჭირნახულეთა ამხანაგობა ეჭირება. ჩვენ ამ ჟამად ჩვენის მკითხველების ყურადღებას მივაქცევთ „ღვინის დამყენებელთა“ ამხანაგობაზედ, რომელიც დღეს გერმანიაში მოქმედებს დიდის სახელით და გამარჯვებითა. ეს ერთი მაგალითიც საკმაო იქნება, რომ კაცმა იმის მიხედვით მოისაზროს, როგორ უნდა შესდგეს ამხანაგობანიც, ვსთქვათ თუნდა, ხორბალეულობის თაობაზედაც.

„ღვინის დამყენებელი ამხანაგობა“ დღეს გერმანიაში გამართულია ბადენსა, ვიტემბერგში და რეინზედა. რეინის ამხანაგობა საკუთარის თვალით უნახავს ერთს ჩვენს ქართველს, რომელიც ამ ზაფხულს წავიდა სამზღვარ-გარედ და რომელსაც სხვათა შორის ჰქონდა აზრად ამისთანა ამხანაგობის ვითარება შეეტყო. მას გაუსინჯავს ყოველივე დაწყობილობა ამ ამხანაგობისა, ყოველის ფერი გამოუკითხავს, გაუგია და ისე მოსწონებია, რომ სანატრელად გახდომია ჩვენის ქვეყნისათვის. ეს ამხანაგობაც იმ აზრზედ არის აგებული, რომ ღვინის მუშტარს—მხმარებელს პირდაპირ თვითონ უშუა-კაცოდ მიაწვდინოს ღვინო და რაც მოგებაა, ღვინის პატრონს ხელში დაუნარჩუნოს.

ყველა ვენახის პატრონი ერთისა და იმავე სოფლის საზოგადოებისა ამხანაგად შესულია, დიდთა მემამულეთა გარდა, რადგანაც ამ უკანასკნელთ თავისი საკუთარი ღონე აქვთ ღვინოც კარგად დააყენონ და კაი ფასადაც გაასაღონ. ჯერ ვიდრე ამხანაგობა ფულის ღონისძიებას მოიპოვებდა, თვითეულს ამხანაგს თავისი კერძი ფული უნდა შეეტანა თთვე და თთვე და ამით მიეცა ღონისძიება ამხანაგობისათვის გაემართა ყველაფერი, რაც საჭიროა საერთო მარანისა და ჭურჭელისათვის. მთავრობამაც, რაკი შეჰნიშნა რომ საქმე რიგიანად დაეწყო, მიაშველა სესხით ფული და დღეს იმ ღონეზედ დამდგარა ეგ ამხანაგობა, რომ მთავრობისაგან ნასესხი ფულიც გადაუხდია და ამხანაგთაგან საკერძო ფულის შემოტანაც მოუსპია, და პირ იქით დიდ მოგებასაც იძლევა. ყოველი ამხანაგი მოვალეა თვისი ყურძენი მიიტანოს საამხანაგო მარანში დასაწურავად და ღვინის დასაყენებლად. სამის ხარისხის ყურძენია თურმე მხოლოდ მისაღები საერთო მარანში. ხარისხი

ფელეტონი

უცხოთა შორის

ბოლგარიის მთავარ-მინისტრად მყოფი კარაველოვი.—ვისი წყალობით გაითქვა სახელი კარაველოვმა?—კარაველოვის მეუღლე ეკატერინე.—რა დედა-კაცია კარაველოვის მეუღლე?—ამ დედა-კაცის წარსული და აწმყო.—კარაველოვის მეუღლე სამინისტროში.—ახალი პიესა ოსმალეთში: „სიცოცხლე თუ სიკვდილი“.—ისმაილ-ბეი და სიქეჟე.—ქალისა და ვაჟის სხვა-და-სხვა გვარი სიყვარული.—ისმაილ-ბეის სიტყვები.—დასკვნა.

მას შემდეგ, რაც ბოლგარიამ რუსეთის წყალობით თავისუფლება მოიპოვა და საპოლიტიკო ასპარეზზე გამოვიდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, კარაველოვმაც თავი იჩინა და დღევანდლამდე მისი სახელი გაისმის. კარაველოვმა დიდი სახელი დაიგდო, საქმის უნარი გამოიჩინა; კარაველოვი მძლავრი და უძლეველი შეიქმნა, კარაველოვი განაგებდა დიდხანს საქმეებს, თავის ნებაზე ატრიალებდა ბოლგარიის სვე-ბედსა. გაზეთები თუ დიპლომატები სულ კარაველოვზე ლაპარაკობდნენ, საქმის ასე თუ ისე დატრიალებას კარაველოვის გამჭრიახობას ან გაიძვერობას აბრალებდნენ. პეტკო კარაველოვს ხან აქებდნენ, პატივით იხსენიებდნენ, ხან ჰლანძღავდნენ და ცილსა სწამებდნენ; კარაველოვს ხან დიდის, გამჭრიახის ჭკუის სახელმწიფო კაცად გვიხატავდნენ, ხან გაიძვერა, მოღალატე და უჭკუო კაცად გამოჰყავნდათ.

ერთის სიტყვით, ასე თუ ისე, კარაველოვზე ბევრს ლაპარაკობდნენ და იმაზედ კი, ვის წყალობით თურმე კარაველოვმა სახელი მოიპოვა, ქვეყანაში თავი გამოიჩინა, აქამდე სიტყვა არა თქმულა. სახელი კარაველოვისა იყო, ბოლგარიის საქმეების გამგეობას კარაველოვს აბრალებდნენ და ის კი, ვინც ბოლგარიას თურმე განაგებდა, ვინც კარაველოვს რჩევას და დარიგებას აძლევდა, ვისის შთაგონებითაც კარაველოვი მოქმედობდა, ის აქამდის ამ კაცის ზურგთ უკან აფარია, აქამდის აჩრდილში დგას. ეს ნამდვილი მოთავე ბოლგარიისა, კარაველოვის შთამგონებელი, დამრიგებელი და გზის მაჩვენებელი, როგორც ამბობენ, დედა-კაცია.

⁂

ვინ არის ეს დედა-კაცი და რა მნიშვნელობა აქვს ბოლგარიის საქმეების მსვლელობაში,—ამას გვიამბობს ერთი წიგნი, რომელიც ამ ხანებში გამოსულა გერმანიაში. ამ წიგნის ავტორი, ვილაც გოპსევიჩი, რომელსაც დიდხანს უცხოვრია ბოლგარიაში და კარგად შეუტყვია ამ ქვეყნის ავი და კარგი,—ამ დედა-კაცზედაც ბევრს ლაპარაკობს. ეს დედა-კაცი მეუღლეა კარაველოვისა და სახელად ეკატერინე ჰქვიან.

ბ-ნი გოპსევიჩი პირ-და-პირ ამბობს: „ეკატერინე კარაველოვისამ რომ ბოლგარიის მართველობა ხელში ჩაიგდოს, ისეთივე მხნე და გამჭრიახი მართველი იქნებოდა, როგორც რუსეთის დედოფალი ეკატერინე II იყოვო. ბოლგარიაში თუ რაიმე საქმე კეთდება კარაველოვის მეუღლის უნარიაო, თვით კარაველოვს არაფერი შეუძლიანო. ვინც ბოლგარიაში ყოფილა, ეს ამბავი არავისთვის საიდუმლო არ არის. თვით დიპლომატებმაც, რომელთაც კი კარაველოვთან საქმე ჰქონიათ, ეს ძალიან კარგად იციოდნენ, და თუ ჰმალავდნენ და ამაზედ ხმას არ იღებდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჰრცხვენოდათ, გამოტეხილიყვნენ; იციოდნენ, რომ ქალი ებრძოდა, ქალი სჯობნიდა და სძლევდა ხოლმე მათ.“

⁂

ამ შესანიშნავ ქალის ცხოვრებას და სურათს დაწვრილებით გვიხატავს ბ-ნი გოპსევიჩი.

კარაველოვის მეუღლე შთამომავლობით ბოლგარელი ქალი ყოფილა, სწავლა-განათლება კი რუსეთში მიუღია. სახით ვერ არის თურმე ლამაზი, თუმცა მთელის სახის-გამომეტყველება აშკარად ამტკიცებს მის დიდ-ნიჭსა და ჭკუასაო. დიდის ცოდნით, მაღალის აზრებით აღჭურვილი, კარაველოვის მეუღლე იმასა სცდილობს, რომ ეს აზრები მთელს ბოლგარიაში გაავრცელოს. ეს ქალი ჯერ მასწავლებლადა ყოფილა. როდესაც რუსთ-ოსმალეთის ომის დროს რუსები ბოლგარიაში ჩადგნენ, ეს ქალი მასწავლებლობას თავს ანებებს, რუსის აფიცრებს და დიპლომატებს ყურს ადევნებს, უკვირდება და დიპლომატების აზრებს ითვისებს.

ამავე დროს ეს ქალი გაიცნო თურმე კარაველოვმაც. ამ ქალის დიდმა ჭკუამ და ჭკვიანურმა მსჯელობამ კარაველოვი მოჰხიბლა, დაატყვევა. დიდი ხანი აღარ გასულა, და ეს ქალი კარაველოვის მეუღლედ შეიქმნა. ცოლმა, როგორც უფრო დიდის ჭკუის პატრონმა, რასაკვირველია, სრულიად ხელში დაიჭირა თავისი ქმარი.

კარაველოვი ფეხს ვერ გადასდგავს თურმე, თუ ცოლს არ დაეკითხა. თუ ვისმე კარაველოვთან საქმე აქვს, ან მოლაპარაკება უნდა, ან რჩევის, დარიგების თხოვნა, პირ-და-პირ კარაველოვთან შესვლა არ შეუძლიან,—პირველად უთუოდ კარაველოვის მეუღლეს უნდა მოელაპარაკოს. კარაველოვის მეუღლე ორი-სამის სიტყვიდამ გაიგებს, რა კაცთანა აქვს საქმე, მაშინვე აფრთხილებს თავის ქმარს და დარიგებას აძლევს, როგორ უნდა მოექცეს ამ კაცსა. თუ რომელიმე კაცი კარაველოვის მეუღლეს არ მოეწონა, თითონვე პირ-და-პირ უარს

ყურძნისა მისის წვენის სიტკბოზედ არის დამოკიდებული. რაკი ყურძენს მიიტანენ, მაშინვე ცოტა წვენს გამოსწურვენ, შაქრის საზომით შეიტყობენ რაოდენი სიტკბო აქვს, ამ რაოდენობაზედ აღნიშვნენ ხარისხს და მომტანს აძლევენ ბარათს ამდენი და ამდენი ფუთი ყურძენი ამა-და-ამ ხარისხისა მოუტანიაო. წინადვე დანიშნულია თურმე რის ნაკლებ არ უნდა ჰქონდეს ყურძენს სიტკბო და თუ დანიშნულზედ ნაკლები აქვს, არ მიიღებენ. როცა ამ გვარად მოგროვდება ყურძენი, მაშინ ყოველ ხარისხს ყურძნისას ცალკე სწურავენ, ცალკე ადუღებენ და ცალკე აყენებენ. როცა ღვინო საკმაოდ მზად არის გასასყიდად, ჰყიდიან წვრილ-წვრილადაც და ნარდადაც მოთხოვნილებისამებრ. ხარჯ გარეითს დახლს მერე უყოფენ ამხანაგთა მათგან მოტანილ ყურძნის რაოდენობის კვალობაზედ და დახლიდამვე იღებენ ნაწილს საამხანაგოდ ძირის ფულის შესადგენად. ისე კარგად მიდის თურმე ამ ამხანაგობის საქმე, რომ დღეს აქამომდე მომდურავი არავინ არა ჰყავს; პირ-იქით ბევრგან მოჰკიდეს ხელი ამ გვარს ამხანაგობასა და დიდს სარგებლობას ჰხედვენ. 1865 წელს დაიწყო ამ გვარი მოძრაობა მევენახეთა შორის და პირველი ამხანაგობანი მაიშოსსა და არვეილეში გაჩნდა 1869 წ. 1874 წ. კობლენცის ახლო „არას“ მდინარის დაცემულ ვაკეზედ შვიდი ამისთანა ამხანაგობა შესდგა ვენახის პატრონთაგან. ამ ამხანაგობათა წყალობით ღვინის მსმელნი კარგ ღვინოსაც ჰშოულობენ სასმელად და რაც შეიძლება იეფადაც და ეს იეფობა არც მოჭირნახულეს აკლებს ფასსა, რადგანაც იგი იეფობა მოჭირნახულის ფასის დაკლებისაგან კი არ არის წარმომდგარი, არამედ ჯერ იქიდამ, რომ შუაკაცობისათვის სადალალოს არავინ ჰღებულობს და მეორე იქიდამ, რომ წურვა, ღვინის დაყენება, მოვლა, პატრონობა, ღვინის შესანახი ჭურჭელი თვითეულს ამხანაგს ცალკე ნაკლებ უჯდება, რადგანაც ყოველივე ეს საერთოდ გაკეთდება, ერთს მარანში და ეს საერთო ხარჯი თვითეულისათვის ბევრით ნაკლებია იმაზედ, რაც თვითეულს ცალკე დაეხარჯებოდა. რაკი მოჭირნახულეს ნაკლებ უჯდება ღვინო, ამოდენადვე ნაკლებ ფასად გაყიდვასაც მისთვის არაფერი ზარალი არ მოაქვს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ საგანზედ უფრო ვრცელ ცნობებს წარვუდგენთ ჩვენს მკითხველებს, როცა წესდებას ამ გვარ ამხანაგობისას მივიღებთ. იგი ქართველი, რომელსაც ამ ამხანაგობის საქმე თავის თვალით უნახავს, გვპირდება გადმოგვცეს ყოველივე, რაც კი ამ საგანს ასე თუ ისე შეეხება.

ახალი ამბავი

⁂ წინამძღვრიანთ სამეურნეო სკოლაში დაუწყვიათ შეგირდებს საუკეთესო ფუტკრის სკის კეთება. იქ გაკეთებული ფუტკრის სკა დალნოვსკისაგან მოგონილის სკის მსგავსია თურმე. მსურველს შეუძლიან ამ გვარი სკა, რამდენიც უნდა, იმდენი შეუკვეთოს ზემოხსენებულს სკოლას.

⁂ იმის გამო, რომ ფასანაურის საეტაპო ფოსტიდამ გაქცეულნი პატიმარნი საჩქაროდ იქმნენ შეპყრობილნი, უმაღლესმა მთავრობამ მადლობა გადუხადა სხვათა-შორის თიონეთის მაზრის უფროსს თ. ლევან ჯანდიერსაც.

⁂ როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ მალე არ დასრულდება ახალი თეატრი ტფილისისა. საქალაქო გამგეობას მოსვლია ქაღალდი მთავრობისაგან იმის თაობაზე, რომ ქალაქმა იტვირთოს თეატრის დასრულებაო. ამ დასრულებისათვის საჭირო იქმნება კიდევ 200,000 მანათზე მეტიო. საქალაქო საბჭო ამ საგანს 10 ნოემბერს განიხილავს და, რასაც გადასწყვეტს, თავის დროზე მოვიხსენებთ.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ჩვენს სათეატრო კომიტეტს განზრახვა აქვს ამ ზამთარ მოიწვიოს ქუთაისიდამ არტისტი ბ-ნი კონსტანტინე მესხი რამდენისამე წარმოდგენისათვის. კომიტეტის განზრახვა ფრიად მოსაწონია. ბ-ნი კ მესხი ჩვენს რეპერტუარში რამდენსამე როლს ყოვლად უნაკლულოდა თამაშობს. მეტად მოქმედობს ამ არტისტის თამაშობა მაყურებელზე ორს პიესაში: ერთია «ქან-ბოდრი» და მეორე „შეშლილია!“.

⁂ გუშინ-წინ ღამ დიდ-ძალი ხალხი დაესწრო კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებას. კრებამ განიხილა პროექტი ელისავეტოპოლის საფეიქრო და სამრეწველო ამხანაგობისა, რომელსაც აზრად ექმნება დააყენოს და ჰყიდოს ღვინოები და ჰხადოს ქაჰის არაყი. როგორც ამ პროექტზედ, რომელიც უკვე დაბეჭდილია, ისე თვით საკამათო ბაასზედ, რომელიც კრებაზე იყო, ჩვენ ცალკე დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

⁂ მკითხველს მოეხსენება, რომ აფხაზეთში სახელდობრ ბზიმის ხეობაზე დიდი ტყეებია ბზისა. ბზა ძალიან ძვირია და ჰღირს 1 მ. 50 კ-დამ 3 მანათამდე ფუთი. თუ ბზის ხე იმოდენად გაიზარდა, რომ 5 გოჯზე მეტია სისქით, ბზას იმდენი ფასი აღარა აქვს. ბზიმის ტყეს ამ ჟამად არავინ არა სჭრის და არა ჰხმარობს გასასყიდად, რადგან მთავრობამ ჯერ ისევ 1874 წელსვე აღკრძალა ბზის ტყის ჭრა და გასყიდვა. აღკრძალა კიდევ იმიტომ, რომ ჯერ მთავრობას არ გამოუკვლევია, რამდენია სულ ტყე ბზიმის ხეობაზე, რამდენის მოჭრა შეიძლება წელიწადში ისე, რომ თვით ტყეს არა ევნოს-რა, რომ რამდენიც მოიჭრას, იმდენივე მოიმატოს და გაიზარდოს ხელ-ახლად, ერთის სიტყვით მთავრობას ჯერ ესრედ-წოდებული ტაქსაც არ შეუდგენია და არ დაუწესებია. ამის გამო ტყე უქმად არის და არც კერძო პირთათვის, არც მთავრობისათვის სარგებლობა არა მოაქვს-რა და არა თუ სარგებლობა, ზარალი აქვს დიდი თვით სახელმწიფო ხაზინას: ბზის ხეები იზრდება და მაშასადამე ფასი აკლდება. ვინც იცის ამ ტყის ვითარება, ისინი ამტკიცებენ, რომ მთავრობის ზემოხსენებულის განკარგულების გამო, ხაზინას თითქმის 5 მილლიონის მანათის ზარალი აქვს წელიწადშიო.

ამ ჟამად, როგორც ამბობენ, ზოგიერთს კერძო პირთ განუზრახავთ სააქციონერო საზოგადოების შედგენა. ამ საზოგადოებას აზრად ექმნება სჭრას აფხაზეთში ბზის ტყე და ჰყიდოს ბზა რუსეთსა და ევროპაშიო.

⁂ ამ მოკლე ხანში პეტერბურგში კრება უნდა იყოს რუსეთის ღვინის მწარმოებელთა. ამ კრებამ უნდა განიხილოს, რა ღონით უნდა განკარგებულ იქმნას ღვინის მოყვანისა და დაყენების საქმე რუსეთში და აგრეთვე რუსეთის ღვინის გავრცელებაო. ახლა გაზ. „ნოვ. ობოზ.“ ამბობს, რომ, როგორც ჩვენ შევიტყვეთ, ზოგიერთს კავკასიის ღვინის მწარმოებელთ ქაღალდი გაუგზავნიათ პეტერბურგს და უთხოვნიათ, რომ კრებაზე დაესწროს ჩვენგან ცალკე დეპუტაციაო და ამ დეპუტაციას ისეთივე უფლება ჰქონდეთ, რაც ყირიმისა და სხვა რუსეთის ღვინის მწარმოებელთ ექმნებათო.

⁂ ესევე გაზეთი ამბობს, რომ ტფილისში წრე შესდგა მთარგმნელთაო. ამ წრეს განზრახვა აქვს გადასთარგმნოს რუსულს ენაზე ზოგიერთი საუკეთესო სიტყვა-კაზმული თხზულებანი სომხურის ლიტერატურისაო.

⁂ გორ-ზემო ქართლელნი ძალიან სჩივიან რომ ქარელის რკინის გზის სადგურზე არავითარი ფარდული არ არისო, რომ ჭირნახულით სავსე ტომრები დააწყოს ხალხმა და ვიდრე გაგზავნის რიგი მოუვა, დაიფაროს წვიმისა და თოვლისაგანაო. წელს დიდ-ძალი მუშტარია ჭირნახულისა, ამ სადგურზე ყოველ-[illegible] დიდ-ძალოივე ჭირნახული მოდის და ამ ჭირნახულის დასაწყობად ბინა-კი არსად არ არისო.

⁂ ზაქათალიდამ სწერენ გაზ. „კავკაზს“, რომ აქეთ კარგი ღვინოები მოვიდა წელსაო. საზოგადოდ ზაქათალის ღვინოები სიკეთით ურიგონი არ არიანო. მეტადრე კარგია ღვინოები კურკულაძესი და სხვათაო. ტფილისის ვაჭრები აქ დიდ-ძალს ღვინოებსა ჰყიდულობენო.

⁂ ფოთში ამას წინად შემდეგი უცნაური ამბავი მომხდარა: ერთს მოხელეს ჯვარი დაუწერია ამ რამდენისამე დღის წინად ერთს გასათხოვარს ქალზედ. ახლად დაქორწინებულნი მშვიდობიანად სცხოვრობდნენ, მაგრამ აი გავიდა რამდენიმე დღე, ქალი მივიდა ერთს საღამოს თავის ნაცნობ ქალთან და უთხრა: შენს ქმარს რომ რევოლვერი აქვს მომეცი, სწორედ იმისთანა უნდა ვუყიდო ჩემს ქმარსა, რადგან ძალიან მოეწონაო. ქალმა წაიღო თურმე რევოლვერი. მეორე დღეს საღამოს, როცა იმის სახლში სტუმრები შეიკრიბნენ, ქალი მხიარულად იყო, უცებ გავიდა მეორე ოთახში და იმ რევოლვერით თავი-კი მოიკლა. არავინ არ იცის, რა იყო მიზეზი ამ თავის მკვლელობისაო.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ყიზილ-აჯალო (ბორჩალოს მაზრა). წლეულს, ღვინობისთვის რვას, ჩვენ სოფელში გაიხსნა სასოფლო ერთ კლასიანი სასწავლებელი. მოსწავლეთა რიცხვი ამ სასწავლებელში არის 14; მასწავლებლად არის დანიშნული გორის სასულიერო სემინარიაში სწავლა შესრულებული ა. ი—ვი, ინგილოთაგანი.

ამ სოფელში სულ მაჰმადიანები სცხოვრებენ. მთელს სოფელში მკვიდრ-

---

ეუბნება და ქმართან სანახავად არც კი უშვებს.

⁂

კარაველოვის მეუღლე მტკიცე, მაგარის ხასიათის ადამიანია და არ უყვარს, თუ რაიმე საქმეში უპირისპირა ვინმემ. მთელის ბოლგარიის პოლიტიკა ხელთ ეპყრა და საქმეს თავის ნებაზე ატრიალებდა. ვაი კარაველოვის დღეს, თუ გაჰბედავდა და ცოლის დაუკითხავად საქმეს დაიჭერდა. კარაველოვმა თავის ცოლის ხასიათი კარგად იცოდა და ვერცა კადრულობდა მარტო თავის ჭკუაზე საქმე დაეჭირა. მხოლოდ ერთხელ გაბედა ცოლის დაუკითხავად საქმის დაჭერა და მერე ბევრიც ინანა. ცოლმა ხალხში ხმა არ გასცა, მხოლოდ რამდენსამე ხანს კი მაგრად ჩაიკეტა ოთახში. რა მოხდა აქ ცოლსა და ქმარს შორის, არავინ იცის, ის კი ყველამ იცის მხოლოდ, რომ ამ დღის შემდეგ კარაველოვს აღარ გაუბედავს თავის საკუთარი აზრი და მსჯელობა ექონია.

ხშირად უნახავთ აგრეთვე, რომ კარაველოვის მეუღლე გაჯავრებული, ცუდ გუნებაზე ყოფილა და კარაველოვს კრძალვით და მოწიწებით უთქვამს:

— დაწყნარდი, გული დაიმშვიდე, ჩემო ეკატერინე! ჯერ დრო კიდევ ბევრია. მოვა დრო, როდესაც მთელი ბოლგარია შენ ხელთ ქვეშ იქმნება!

ეს სიტყვები ლიტონი სიტყვები არ იყო: ამ ბოლოს დროს მთელის ბოლგარიის პოლიტიკას ეკატერინე კარაველოვისა თითქმის მარტოდ-მარტო განაგებდა.

⁂

არამც თუ მარტო კარაველოვი, თვით მინისტრებიც ყურ-მოჭრილნი ყმები იყვნენ კარაველოვის მეუღლისა. მინისტრები საქმეს ვერ გადასწყვეტდნენ, კრინტს ვერ დასძრავდნენ ამ საკვირველის დედა-კაცის საპირისპიროდ. თუ სამინისტროში რაიმე საქმე აღიძვრებოდა, ჯერ უთუოდ კარაველოვის მეუღლის აზრი უნდა გაეგოთ. ამის დაუკითხავად ვერას გაჰბედავდნენ, ვერ გაჰბედავდნენ იმიტომ, რომ შიში და კრძალვა ჰქონდათ. ან კი როგორ გაებედნათ რამე, როდესაც თვით მთავარი ალექსანდრე თრთოდა თურმე ამ ქალის წინაშე!..

რასაკვირველია, ცოტა მოსარიდებელი იყო, კარაველოვის მეუღლეს პირ-და-პირ სამინისტროში ევლო, ამიტომ ისე მოახერხა თურმე, რომ მინისტრების კრება და რჩევა თვით კარაველოვის სახლში იმართებოდა.

„მხატვრის ნიჭი და კალამი უნდა მქონდესო,—ამბობს ბ-ნი გოპსევიჩი, რომ შევძლო და დავხატო ის სურათი, რომელსაც წარმოადგენდა კარაველოვის სახლი, როდესაც მინისტრებს კრება და თათბირი ჰქონდათ ხოლმეო. კალმით ამის აღწერა შეუძლებელიაო.“

„წარმოიდგინეთ კარგად მოზდილი ოთახი. ოთახის მთელს მორთულობას და ავეჯეულობას შეადგენენ: ერთი დიდი საწერი სტოლი, ორი პატარა, ორი წიგნებით სავსე განჯინა, ორი დივანი და რამდენიმე სკამი. კარაველოვს საწერ სტოლთან თავმჯდომარის ადგილი უჭირავს, მინისტრები სტოლის გარეშემო სხედან სკამებზე. კარაველოვი ლაპარაკს იწყებს რომელსამე საქმეზე, თავის აზრს ამბობს და დანარჩენი მინისტრებიც კვერს უკვრენ. საქმე ამ გვარად თავდება.

ამ დროს მეორე ოთახიდამ შემოდის კარაველოვის მეუღლე ძუძუთა ყმაწვილით ხელში. მინისტრებ შორის დუმილი ჩამოვარდა.

— საქმე როგორ გარდასწყვიტე, პეტკო?—კითხულობს მეუღლე ბრძანებლობის და დინჯის ხმით და ისეთის თვალით უყურებს ქმარს, რომ კარაველოვს ენა გულში უვარდება და რაღასაც ბუტბუტებს.

— „ეგრე არ შეიძლება!“ —ამბობს ცოლი წყნარად,—„სჯობდა ასე გარდაგეწყვიტათო.“

— „სრულიად მართალი ხარ!“—ეთანხმება მაშინვე კარაველოვი და დანარჩენი მინისტრებიც თავს უკვრენ თანხმობის ნიშნად.

კარაველოვის მეუღლე შვილს ქმარს აძლევს ხელში და თითონ გარდაწყვეტილების ოქმის წერას ხელს ჰკიდებს.

კარაველოვი ზოგიერთ სიტყვას უმატებს, რომ მინისტრების წინაშე სრულიად თავი არ შეირცხვინოს და ცოტათი მაინც დაიცვას თავისი აზრი.

ცოლი წყნარად უსმენს ქმარსა და თან ძუძუს აწოვებს თავის შვილსა. მერე დალაგებით აძლევს პასუხს თავის ქმარსა, დაწვრილებით არჩევს და სრულიად არღვევს მის აზრსა. კარაველოვს მეტი ღონე არა აქვს, უნდა მოწიწებით ისმინოს ცოლის მოსაზრება და ამის სიტყვები ისე მიიღოს, როგორც შეურყეველი კანონი.

ასეთია თურმე კარაველოვის მეუღლე, ის დედაკაცი, რომლის ჭკუითა და გამჭრიახობით კარაველოვმა თავი იჩინა თურმე და სახელი მოიპოვა. ვინ იცის, შემდეგში იქნება უფრო კიდევ დიდი სახელი მოელის ამ დედაკაცსა. ისტორია გვმოწმობს, რომ ხშირად დედაკაცს მთელის ქვეყნის ბედ-იღბალი ხელში სჭერია და თავის ნებაზე უტრიალებია!..

⁂

ბოლგარიაში რომ ამისთანა ქალი აღმოჩენილა, როგორც კარაველოვის მეუღლეა, გასაკვირველი არ არის. ამისთანა მაგალითი ხშირად ყოფილა. მაგრამ აი ოსმალეთში, იმ ოსმალეთში, სადაც ქალი შიგნით შიგან არის შეკეტილი და ქვეყნის საქმეებისაგან სრულებით გამოკლებულია, ამ ოსმალეთშიაც რომ აღმოჩენილან ისეთი ქალები, რომელნიც საქვეყნო საქმეს თავსა სწირავენ,—ეს კი, სწორედ გითხრათ, ცოტა ახალი ამბავია და არც ხშირად შეჰხვდებით ამ გვარ მაგალითებს ისტორიაში.

საქმე აი რაშია. ოსმალეთშიაც, ევროპის მიბაძვით, ეროვნულის, პატრიოტულის დრამების წერა დაუწყვიათ. ერთი ამ გვარი პიესა, რო-

თა რიცხვი 250 კომლამდე იქნება. მათ შორის 9 კომლი აღალარები არიან. ხალხი ძრიელ შეძლებულია და უმეტესს ნაწილს ფულიც საკმაოდა აქვს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ აქაურები მაინც ძრიელ უხეიროდ და ღარიბად სცხოვრობენ. ადამის ჟამის სახლებზე ჯერ დღესაც ხელი ვერ აუღიათ; ისევ თხრილს და მიწურს შენობებში სცხოვრობენ. ქართლურს მიწურებს ბევრით ჩამოურჩება აქაური მიწური სახლები და ბინძურადაც ინახავენ. იმავე სახლში, საცა თვითონ სცხოვრობენ, საქონელსა და ფრთოსანსაც იქ ინახავენ. რადგანაც ამისთანა მიწურებს არა აქვთ ფანჯრები და არც მინა-ჩასხმული კარები, ამიტომ ძრიელ ბნელა და ცუდი სუნიცა დგას. ასე რომ ეს მიწური ცოცხალთა საფლავს მოგაგონებს. ზემოთგან ბანებზედ მიწურებს აყრია ჩალა-ბულა, თივა და სხვა.

მხოლოდ აღალარებსა აქვთ კარგი ზეზეური სახლები.

მამა-კაცები იცმენ შალის ჩოხას, რომელიც კოჭებზე ადგათ, მოკლე ახალუხებს, მეტის-მეტ განიერ შალვრებს, პაჭიჭებს და თავზედ ზარფუშივით ფაფახს იხურავენ. ეს ფაფახები ისეთი დიდებია, რომ პირველ შეხედვაზე თითონ კაცზე ზორბა გეჩვენებათ. დედა-კაცებს აცვიათ გრძელი წითელი პერანგები შილისა, ვიწრო შალვრები, თავზედ რაღაც კოსროები აქვთ წამოდგმული, კრუების დედაკაცებივით. საზოგადოდ აქ ძრიელ უყვართ წითელის ფერის საცმელი. აღალარები მდიდრულად და შნოიანადაც იცმენ.

სიტყვა-პასუხი ზრდილობიანი და ამასთან ძრიელ ოსტატური და ფრთხილი იციან. ყოველ ლაპარაკს დაიწყებენ და გაათავებენ ამ სიტყვებით: „ხეირ“, „ბააალი“ და „ბაშუსტა“.

აქაურები ძრიელ მისდევენ ხვნა-თესვას და ბოსტნეულებას. აბრეშუმის ჭიას არ აჩენენ. უწყლობისა გამო არც ბრინჯს სთესვენ. ვენახები აქვთ და ღვინოსაც აყენებენ. აქაური ღვინო ქართლურ ღვინოს სჯობია სიკეთით.

აქ საქონლის მოშენებასაც მისდევენ. ინახვენ ცხვარს, ძროხასა, ცხენს, უფრო მომეტებულად კი ცხვარსა. ცხვრის დიდი ფარები ზაფხულში მიუდით თრიალეთის მთის იალალებზე და ზამთარში კი აქვე ინახვენ საგანგებოდ გაკეთებულს ფარეხებში. უმეტესი გამორჩომა აქვთ ცხვრიდამ, მატყლიდამ, ყველიდამ და ხორბლიდამ.

სკოლის შენობა 3000 მ. დაუჯდათ, მაგრამ კაცმა არ იცის, რისთვის დაჰხარჯეს ამდენი ფული და ააგეს ესრეთი უზარ-მაზარი შენობა როდესაც შვილებს არ აბარებენ სკოლაში სასწავლებლად. მოსწავლეთა სიმცირისა გამო, ჰფიქრობენ, რომ მთავრობა დაჰკეტავს სკოლასა და სოფელს ხარჯი უქმად ჩაუვლის. ღმერთმა ნუ ჰქნას!

ქიჩიგა

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთს „Южный Край“-ს, როგორცა სჩანს, არა ჰსურს ჩამოჰრჩეს ზოგიერთ თავის თანამოძმეს, ეს გაზეთიც, რასაკვირველია, ლაპარაკობს ბოლგარიის საქმეებზე, მაგარის და უკადრისის სიტყვებით იხსენიებს „თავ-გასულ“ სტამბულოვებს და მუტკუროვებს, თუმცა თავი-და-თავი განზრახვა კი სულ სხვა აქვს. გაზეთი უფრო რუსეთის „განათლებულ საზოგადოებაზეა“ გაჯავრებული, მერე როგორ არის გაჯავრებული? რა ბრალს არა სდებს, რა ცილს არა სწამებს განათლებულს ხალხს, ესრედ წოდებულს „ინტელიგენციას“!

ცუდს, საძაგელს საქმეებს სჩადიან ბოლგარიაში. მართალია, ეს საქმეები სასაცილოა,—ამაზე უარს არავინ ამბობს,—ასე იწყებს გაზეთ თავის წერილსა და აქვე ასე ორატორულად უხვევს: „მაგრამ რა არის აქ საცინელი? რას იცინით? ვის დასცინით? თქვენ თავსა?“ ვინ დაჰბადა, ვინ გამოჰზარდა ყველა ეს მუტკუროვები, სტამბულოვები, კარაველოვები და სხვა ამათ მსგავსი „თავ-გასული პოლიტიკოსები“? განა ჩვენ არა ვართ ამაში ბრალი? გახსოვთ, ბატონებო, თუ დაგავიწყდათ, — ჩვენი „ინტელიგენცია როგორ შეჰხაროდა და შეჰნატროდა ოსმალეთის კონსტიტუციას? გახსოვსთ თუ არა,—ჩვენი ინტელიგენცია“ როგორ წუწუნებდა და თან აღტაცებითაც ლაპარაკობდა, რომ აი ოსმალეთი ხომ რა არის და ამანაც კი მოიპოვა „ცივილიზაციის წინ-მსვლელობის“ საუკეთესო იარაღი და ჩვენ კი?.. მერე, როდესაც ბოლგარიის განთავისუფლებისათვის ომი დაიწყო? რას ამბობდა, რას სწერდა ჩვენი „ინტელიგენცია“? ეს ინტელიგენცია არ იყო, რომ ამტკიცებდა ამ ომის უსარგებლობას, უმნიშვნელობას? მერე კიდევ, როდესაც ბოლგარია განვათავისუფლეთ, განა იგივე ჩვენი „ინტელიგენცია“ არ გვირჩევდა, შემოგვეღო ისეთივე სახელმწიფო წესები, როგორიც ავსტრიაშია, რომ ბოლგარები ჩვენკენ მოგვემხრო... ბოლოს ჩვენ არ გიყავით, რომ აღტაცებით ვლაპარაკობდით ბოლგარიის „კონსტიტუციაზე“ და თან ვჩივოდით და ვტიროდით, რომ აი ბოლგარებიც კი მოესწრნენო და ჩვენ-კი...

რას მოუყვანია გაზეთი გულზე? რას ჰნიშნავს ეს მჭევრ-მეტყველობა, ეს გამოლაშქრება „ინტელიგენციის“ წინააღმდეგ? სხვა არაფერს, რომ გაზეთს მოსვენებას არ აძლევს „ერთის ბედნიერის თანამოძმეს“ დაფნის გვირგვინი. მიაღწევს გაზეთი თავის წადილსა, თუ არა? ვეჭვობთ,—ერთხელაც სინჯა ამ გაზეთმა თავის ბედი, მაგრამ იღბალმა ვერ გასჭრა!..

⁂

გაზეთ «Новости»-ში ერთი მშვენიერი ამბავია დაბეჭდილი იტალიის კოროლ ჰუმბერტზე.

კოროლი ჰუმბერტი ერთ დილას ჩვეულებისამებრ ქუჩაში დასეირნობდა. კოროლმა შენიშნა, რომ ორი პატარა ყმაწვილი გაცხარებული ლაპარაკობდა და, როგორც ეტყობოდათ, კოროლზე ჰქონდათ ლაპარაკი. ერთბაშად ერთმა ყმაწვილმა მიირბინა ჰუმბერტთან, მოწიწებით ქუდი მოუხადა და ჰკითხა·

—უკაცრავათ, ბატონო. ხომ მართალია, რომ თქვენ კოროლი არა ხართ?

—რატომ? ვითომ რადა გგონიათ, რომ მე კოროლი არ უნდა ვიყო?

—იმიტომ... იმიტომ... და ყმაწვილს ენა დაება.

—იმიტომაო,—ჩაერივა საქმეში მეორე ყმაწვილი, რომ თავზე გვირგვინი არ გადგათ.

—მე კი მაინც მჯერა,—განაგრძო ისევ მეორე ყმაწვილმა, რომ თქვენ კოროლი უნდა იყოთ, რადგანაც ჩვენ სახლში ერთი სურათი გვაქვს, რომელიც თქვენ ძალიანა გგავთ. ბეპპოს არა სჯერა ჩემის სიტყვა; გეთაყვა, ეხლა თქვენ მაინც დაარწმუნეთ, რომ მე მართალი ვარ.

—რადგანაც მიცანი—უპასუხა მხიარულად კოროლმა,—მე უარს აღარ ვიტყვი: დიახ, მე კოროლი ვარ. ეხლა ხომ დარწმუნებული ხარ.

—მე ეგ წინადაც ვიცოდი,—სიხარულით წამოიძახა ყმაწვილმა. გვირგვინს კი მარტო დღესასწაულებში იდგამ ხოლმე განა?

—არა, ჩემო პატარავ,—წყნარის და მშვიდის სახით უპასუხა კოროლმა—ჩემთვის დღესასწაული მაშინ არის მხოლოდ, როდესაც ვივიწყებ, რომ გვირგვინი მადგა თავსა. შენ ჯერ პატარა ხარ და ამას ვერ გაიგებ. ნუ დამივიწყებთ, ჩემო პატარა მეგობრებო, და აი ჩემ სახსოვრად გაჩუქებთ ერთ სურათს, რომელიც თუმცა ისე ლამაზი კი არ არის, როგორც ის, რომელიც სახლში გქონიათ, მაგრამ უფრო მეტად კი ღირს.

კოროლმა ყმაწვილებს თითო ოქროს ფული აჩუქა. გახარებულმა ყმაწვილებმა მაშინვე თავის სოფლისკენ გასწიეს, საიდამაც დილით ადრიანად წამოსულიყვნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ხელმწიფე ენახათ.

უცხოეთი

ბოლგარია. „Journal de St.-Pètersbourg“-ი სწერს: როგორცა სჩანს მარკიზ სალისბერის წარმოთქმულ სიტყვითგან, ბერლინის ხელ-შეკრულობის დაცვა ყველაზედ მეტად ავსტრიისთვის არის სასარგებლოთო. ვინიცობაა, ამ ხელ-შეკრულობას საითგანმე რაიმე შიში მოელის, ავსტრიაა მოვალე, რომ თავი გამოიდოს ამ საქმისათვისაო. ინგლისი ამ შემთხვევაში ერთსა და იმავე დროს მეგობრობის პირობასაც აძლევს ავსტრიასა და უკანაცა დგება. ინგლისის აზრით, ავსტრია მოვალეა აღმოსავლეთში მშვიდობიანობა დაიცვას. ამას არც ავსტრიის იმპერატორი ჰყოფს უარსა და როგორც იმის სიტყვითგანა სჩანს, თავის თავს ვალდებულადა რაცხს ამ საქმეში.“

— „Politische Correspondenz“-სა სწერენ კოპენჰაგენითგან: «აქაურს საპოლიტიკო წრეებში დიდად ეჭვობენ, რომ პრინც ვალდემარმა იკისროს ბოლგარიის მთავრად ყოფნაო. ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ პრინცი ვალდემარი არ მიიღებს იმ საეროო კრების წინადადებას, რომელსაც რუსეთი უკანონოდ სთვლისო. მით უფრო, რომ პეტერბურგითგან ჯერ არავითარი თხოვნა არ მოსვლია პრინცს ბოლგარიის ტახტის კანდიდატობის გამოვო. ჯერ ნამდვილად არავინ იცის, ვინა ჰყავს რუსეთს სახეში და ვის აპირებს ბოლგარიის მთავრად ამოირჩიოსო.»

— ვენის გაზეთებს დეპეშითა სწერენ ლონდონითგან: «გუშინ მარკიზ სალისბერი ვინძორში იყო და დედოფალი ინახულა. გაზეთი «Times»-ი ამბობს, რომ პირველის მინისტრის დედოფალთან წასვლა ბოლგარიის საქმეთ გამოიწვიაო. ამ ჟამადაო, ამბობს იგივე გაზეთი, ავსტრი-ვენგრიისა და ინგლისის შორის სრული თანხმობა და მეგობრობა ჰსუფევსო. იმის გამო, რომ სერ უაიტი სტამბოლშია.

—«Politische Correspondenz»-ს სწერენ ტირნოვოდამ: სარეგენტო მთავრობა ბოლგარიისა კვლა იმ აზრს დაადგა, რომ რუსეთის მთავრობას წინააღმდეგობა აღარ გაუწიოს და ყველაფერში აღასრულოს ბ-ნ კაულბარსის სურვილიო. თუმცა ეს ასეაო, მაინც ამავე დროს სოფიითგან გვატყობინებენ, რომ სარეგენტო მთავრობას განზრახვა აქვს ცანკოვი, კარაველოვი და ნიკიფოროვი სამხედრო სასამართლოს გარდასცეს და ისე დასაჯოს წინააღმდეგობისათვისაო; და რუმელიითგან-კი გვატყობინებენ, რომ გაბროვსა, ლობრაბსკსა და ხაშკოვში უწესოება და ამბოხება ამტყდარიო.

—ლონდონითგან დეპეშით იწერებიან, რომ ლორდ ჩემბერლენს განზრახვა აქვს პეშტსა, ვენასა და ოსმალეთში წავიდესო.

მელსაც სახელად ჰქვიან „სიცოცხლე ანუ სიკვდილი“, ამ ახლო ხანებში სტამბოლის თეატრში უთამაშნიათ.

პიესის უმთავრესი გმირი—სექიჯე ხანუმაა, ობოლი ქალი, მდიდარის ოჯახისა და გვარეულობისა. ქალს დედა ადრე მოჰკვდომია, მამა ომში წასულა და უკან აღარ დაბრუნებულა.

ოსმალეთს ხელ-ახლად შავი-ღრუბელი გადაჰფარებოდა. სულთანმა მაჰმადის დროშა აღმართა. ყველა მხრიდამ ხალხმა ხმა მოსცა და დიდძალი ჯარი შეიკრიბა. ამ ამბავმა მიაღწია იმ პაწია ქალაქამდინაც, სადაც სექიჯე სცხოვრებდა. აქაც ჯარი შეიკრიბა. სექიჯე ქუჩაში შეჰხვდა ერთს აფიცერს, ისმაილ-ბეის; აფიცერმაც თვალი მოჰკრა ქალსა. ქალ-ვაჟს ერთმანეთი მოეწონათ, გული შეუვარდათ და სიყვარულის ცეცხლი მოეკიდათ. სექიჯე ბევრს ცდილობს, ეს სიყვარული, რომელიც დღე-და-ღამ მოსვენებას არ აძლევს, თავიდამ მოიშოროს, ისმაილ-ბეის სახე გულიდამ ამოიღოს, მაგრამ გრძნობა ვერ დაუძლევია.

არც ისმაილ-ბეია უკეთესს ყოფაში. სიყვარულს ესეც მაგრა შეუპყრია. სიყვარულით გატაცებული ისმაილ-ბეი ივიწყებს ქვეყნის ადათს, ჩვეულებას, რჯულის წინააღმდეგ მიდის და ერთ ღამეს ჩუმად ფანჯრიდამ შედის სექიჯეს ოთახში. ამ ღამეს ერთად ყოფნა ცხადად არწმუნებს ქალსაც და ვაჟსაც, რომ ამათი სიყვარული ძლიერია და გაყრა შეუძლებელი-ღაა.

⁂

სექიჯეს ისე უყვარს ისმაილი, როგორც ყველა სხვა ქალსა. ქალი სრულიად თავის გრძნობას ეძლევა, ყველას ივიწყებს ქვეყანაზე და მხოლოდ თავის გულის წადილსა,თავის საკუთარ ბედნიერებასა და ისმაილზე-ღა ფიქრობს. სექიჯეს გული უკვდება, რომ ისმაილ ბეიმ უნდა თავი დამანებოს და ომში წავიდეს.

„შენ ამოჰგლიჯე ჩემის გულიდამ მამისა და დედის სიყვარული, შენ დამავიწყე მოვალეობა, ჩემის ძმის სასაფლაო“,—შესჩივის ქალი თავის სატრფოს,—და ეხლა კი თავი უნდა დამანებო, წახვიდე ომში, სადაც ვინ იცის სიკვდილი მოგელის. მე? მე ვილასთან დავრჩე?“

აქ კაცის სიყვარული სულ სხვა გვარია ისმაილ-ბეი ამ ჩივილზე აი რა პასუხს აძლევს: „მე მოვალე ვარ წავიდე, წავალ და კიდეც მივდივარ! თვით ჯოჯოხეთის ცეცხლიც რომ შემემთხვეს წინ, მე მაინც წავალ! თვით სიკვდილმაც რომ ხელი ჩამკიდოს, მე მაინც არ დავიშლი და წავალ! თვით მამი-ჩემის საფლავი რომ შემიგინებოდეს ამით, მე მაინც წასვლას არ დავიშლი! დედი-ჩემის გვამი რომ წინ მედოს, იმასაც კი გადავლახავ და უკან კი არ დავიწევ! დარწმუნებული რომ ვიყო, რომ ჩემის გულისთვის შენ ეხლავე აქ სულ დაჰლევდი, მე მაინც აქ ვერ დავდგებოდი და წავიდოდი!...“

⁂

ასე მაგრად და გულ-ქვავად ლაპარაკობს ისმაილ-ბეი. რადა? განა არ უყვარს სექიჯე? არა, უყვარს და ძალიანაც უყვარს, მაგრამ არის სხვა საგანი, რომლისთვის მამასაც, დედასაც და საყვარელ ქალსაცა სთმობს. ეს ისეთი რა საგანია? ეს თვით ისმაილ-ბეის სიტყვებიდამა სჩანს. აი ისმაილი რას ეუბნება სექიჯეს:

„გინახავს შენ ჩვენ სასაფლაოზე ერთი მაინც ჩემი ნათესავი? ჩემ ნათესავებში ორმოც-და-ორი წამებულია და წამებით არის მკვდარი და არც ერთზე არ გამიგონია, რომ შინ, თავის სახლში მშვიდობიანად სული დაელიოს,—გესმის?—არც ერთს შინ არ დაულევია სული!... დღეს ოსმალეთი ამხედრებულა. ჩვენს მოსისხლე მტერს ჰსურს ჩვენ წინაპართა და მშობელთა საფლავი წაჰბილწონ და ჩვენ ძვირფას მოძმეთა ძვლები ამოჰყარონ. განა შესაძლოა, რომ მტრის ტყვიას მე არ მიეუშვირო პირველმა გული? როგორ დავრჩე აქ, სახლში გულხელ-დაკრეფილი როგორ ვიჯდე, როდესაც ოსმალეთი განსაცდელშია? როგორ დავსტკბე ეხლა შენის სიყვარულით, ეხლა, როდესაც ყველას უპირველესი წმინდა მოვალეობა სიყვარულია ჩვენის ქვეყნისა, ოსმალეთისა. როგორ ჩამოვრჩე ჩემთა მოძმეთა, რომელნიც დღეს ყველანი ომში მიეჩქარებიან? გეუბნები, ოსმალეთი განსაცდელშია, განა-შენ კი არ გაგიგია ესა?.. ღმერთმა შემქმნა და ჩემის ქვეყნის მიწა-წყალმა გამომზარდა... როდესაც დავიბადე, ტიტველი ვიყავი, ჩემმა მიწა-წყალმა შემმოსა. ჩემი სხეული ოსმალეთის მიწა-წყალმა შეჰქმნა, სუნთქვა მის ჰაერმა შთამბერა... განა ადამიანი არა ვარ?.. ნუ თუ შენ კი შეიძლებდი იმ კაცის სიყვარულს, რომელსაც თავის მიწა-წყალი არ უყვარს?..

მთელი პიესა გვაჩვენებს, რომ ისმაილ-ბეი მარტო სიტყვის კაცი არ არის, რასაც სიტყვით ამბობს, საქმითაც ასრულებს: სექიჯეს თავს ანებებს და ომში მიდის.

არც სექიჯეა ისეთი ქალი, რომ თავის გულის სატრფოს უღალატოს და თავი დაანებოს. სექიჯე ვაჟის ტანისამოსს იცვამს და ჯარში მიდის, რომ ამანაც საფლავი იქ გაითხაროს, საცა ისმაილ-ბეის სიკვდილი ბოლოს მოუღებს.

ბოლოს საქმე სრულებით მშვიდობით თავდება. ისმაილ-ბეი ომიდამ უვნებელი გამოდის, და ბედნიერნი ქალ-ვაჟი დაქორწილდნენ.

⁂

პიესა იმით არის ყურადღების ღირსი, რადგან ეს პირველი მაგალითია, რომ ოსმალებიც ევროპიელებს ჰბაძვენ, ეს პირველი მაგალითია, რომ ავტორს, ჩვეულების და მაჰმადის რჯულის წინააღმდეგაც, ქალი გამოჰყავს სცენაზე. ეს პიესა გარდა ამისა ცხადად გვიმტკიცებს, რომ ოსმალებიც თავის მდგომარეობას დაჰფიქრებიან.

დონ-იაგო

— სტამბოლში სამხედრო კომისია შემდგარა გოლც-ფაშის მოთავეობით და მინდობილი აქვს გამოიკვლიოს, თუ რამდენად მზად არის ამ ჟამად ოსმალეთის ჯარი საომრად.

— დეპეშით ატყობინებენ გაზ. „Новости“-ს, რომ უეჭველია სამეგრელოს თავადს ნიკოლოზს ამოირჩევენ მთავრადაო. მით უფრო შესაძლებელია ესა, რომ პრინც ვალდემარს უარი განუცხადებია მთავრად ყოფნაზედ. ბერლინის გაზეთები სწერენ, რომ რუსეთის ელჩმა ვენაში უკვე გამოაცხადა ოფიციალურად გრაფ კალნოკის ამბავი და გრაფს კალნოკიმაც იმპერატორს ფრანც-იოსებს აცნობაო. ამ ერთის კვირის წინად, როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, გერმანიამ და ავსტრიამ ჰკითხეს რუსეთსა: ვინა გსურს გამოაცხადო ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატათაო და აი ეხლა რუსეთმა თავის ელჩის პირით ვენაში თავადი მეგრელიისა ნიკოლოზი დაასახელაო.

დეპეშა

6 ნოემბერს

ტურნოვო. ბოლგარიის რეგენტებმა დღეს რუშჩუკში გზად გაიარეს და სოფიას წავიდნენ. როგორც, ეტყობა, რეგენტებმა გადასწყვიტეს, რომ შესცვალონ საქმეთა საერთო მდგომარეობა. ამის მიზეზი, ერთის მხრით, უცხო გავლენაა; ხოლო უმთავრესად-კი უფრო ის უნდა იყოს, რომ რეგენტები ჰგრძნობენ, რა საფათერაკო მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნიო.

ვენა. შიპკა, კაზანლიკი, ესკი-ზაგრა, იამბოლი, კაზანობადი და ბურგასი არ ემორჩილებიან სარეგენტოსაო.

7 ნოემბერს

პეტერბურგი. „Journal de St. Petersbourg“ ი ამბობს: „ევროპის ჟურნალ-გაზეთობას კალნოკის სიტყვიდამ ის აზრი გამოჰყავს, რომ საქმე მშვიდობიანად გათავდებაო. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ მშვიდობიანობა საყოველთაო სურვილიაო. მაგრამ თუ ევროპაში ასე სჯერათ, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევა, ამისი მიზეზი ის არის, რომ იქ იციან რუსეთის სურვილი მშვიდობიანობის დაურღვევლობისა, მაშ რაღა საჭიროა უსარგებლო და ტყუილი თავ-გამოდება? აი ამის გაგება ჰსურს საზოგადოებას, რომელსაც ერთად ვერ მოუთავსებია ეს თავ-გამოდება და სამთა იმპერატორთა კავშირის არსებობა. ამიტომ საეჭვოა, რომ კალნოკის გერმანიის ნება-რთვა ჰქონოდეს აღებული და ისე წარმოეთქვას თავისი სიტყვა.

საკალენდარო ცნობანი

ნოემბერი 30 დღით არის.

8 დღე შაბათი. კრება წმ. მთავარ-ანგელოზ მიხაილ და ყოველთა ზეციერ ძალთა. კათოლ. მე-8 დღე ყველა წმინდათა დღესასწაულისა. სომეხ. წმ. მთავარ-ანგელოზ გაბრიელ, მიხეილ და სხვათა ზეციერ ძალთა. დაბადება მათის უმაღლესობისა მიხეილ ნიკოლოზის ძისა და მიხეილ მიხეილის ძისა. —ტფილისში გაიმართა ახალი საქალაქო სამკურნალო, 1868 წ. —ტფილისში გამოაცხადეს დიდის თავადის მიხეილ ნიკოლოზის ძის თანადასწრებით უმაღლესი მანიფესტი ბატონ-ყმობის გაუქმების გამო საქართველოში, 1864 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45—48. ტფილისში მზე ამოდის 6—55, ჩადის 4—36; მთვარე ამოდის 12—37, ჩადის 1—25.

9 დღე კვირა. წმ. მოწ. ონისიფორესი და პორფირიასი. გაიმართა პირველი წარმოდგენა იტალიურის ოპერისა, 1851 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46—3. ტფილისში მზე ამოდის 6—56, ჩადის 4—36; მთვარე ამოდის 1—47, ჩადის 2—3.

10 დღე ორშაბათი. წმ. მოც. ერასტი, ოლიმპიისა და წმ. მოწ. კონსტანტინესი; ხსენება წმ. დიდ. მოწ. გიორგისა. კათოლ. წმ. ალმსაარ. ანდრია აველლინისა. სომეხ. წმ. მელიტონსი, მინასი და სხ., ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46—11. ტფილისში მზე ამოდის 6—57, ჩადის 4—35; მთვარე ამოდის 3—55, ჩადის 4—35.

11 დღე სამშაბათი. წმ. მინასი და სხვ. კათოლ. წმ. ეპისკოპ. ალმსაარ მარტინასი სომეხ. წმ. მოწ. დიმიტრისა, და ვასილისკესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46—36. ტფილისში მზე ამოდის 6—58, ჩადის 5—34; მთვარე ამოდის 4—4, ჩადის 3—11.

12 დღე ოთხშაბათი. წმ. იოანე, მოწ. ღირსისა ნილოსისა. კათოლ. წმ. შვიდთა ძმათა წამებულთა. სომეხ. მარხვაა. დაბადება მათ უმაღლ. ბორის ვლადიმერის ძისა ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46—53. ტფილისში მზე ამოდის 6—59, ჩადის 4—34; მთვარე ამოდის 5—13, ჩადის 3—48.

13 დღე ხუთშაბათი. წმ. იოანე ოქროპირისა, წმ. მოწ. ანტონისა: კათოლ. წმ. სტანისლავა კოსტკასი. სომეხ. წმ. გურია, სამონ, აბიბო და სხ. მუსულ. 1-ლი რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47—11. ტფილისში მზე ამოდის 7—0, ჩადის 4—33; მთვარე ამოდის 6—21, ჩადის 4—14.

14 დღე პარასკევი. წმ, მოციქ. ფილიპპე, იუსტინიანე მეფისა. აღების-ღამე შობის მარხვისა. კათოლ. წმ. მოწ. პაპა მარტინ 1-ლისა. სომეხ. მარხვაა. დაბადება მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისა, 1847 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47—30. ტფილისში მზე ამოდის 7—1, ჩადის 4—33; მთვარე ამოდის 7—16, ჩადის 5—13. შობა მთვარისა 2 საათსა და 23 წუთზედ დილით.

15 დღე შაბათი. წმ. გურია, სამონ და აბიბოსი. დასაწყისი შობის მარხვისა. კათოლ. წმ. ქალწ. გერტრუდასი სომეხ. წმ. მოციქ. ანდრიასი და ფილიპპესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47—50. ტფილისში მზე ამოდის 7—2, ჩადის 4—32; მთვარე ამოდის 8—25, ჩადის 6—4.

16 დღე კვირა. წმ. მოციქულ-მახარებელ მათესი. სომეხ. აღების-ღამე ჰისნაკის მარხვისა. მუსულ. დაბადება წინასწარ-მეტყ. მაჰმადისა (შიიტებს). ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48—11. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 4—32; მთვარე ამოდის 9—22, ჩადის 6—54.

17 დღე ორშაბათი. წმ. გრიგოლ საკვირ.-მოქმედ. და მოწ. გობრონისა, კახეთის თავადისა და 133 სხვათა. კათოლ. წმ. ქალწ. სალომესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48—32. ტფილისში მზე ამოდის 7—5, ჩადის 4—31; მთვარე ამოდის 10—12, ჩადის 7—49.

18 დღე სამშაბათი. წმ. პლატონ, რომანოზ და მეზვერე ზაქესი. კათოლ. კურთხევა წმ. პეტრე და პავლეს ეკკლესიისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48—54. ტფილისში მზე ამოდის 7—6, ჩადის 4—31; მთვარე ამოდის 10—55, ჩადის 8—46.

განცხადებანი

ტფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ ოც-და-მესამე (23) ტირაჟში, რომელიც მოხდა ამ 1886 წლის 31 ოქტომბერს, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის გირავნობის ფურცელთა.

1) გირავნობის ფურცელნი გამოცემულნი 28 მაისს 1874 წლის წესდების ძალით:

18 წლ. 7 თთვ. ვადით.

1 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა, №№ ოთხმოც-და-თხუთმეტი (95), ოთხმოც-და-თერთმეტი (91), ორმოც-და-თოთხმეტი (54) და სამოც-და-ცამეტი (73).

27½ წლით.

2 სერიისა

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ას-თორმეტი (112).

3 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ოთხმოც-და-თორმეტი (92), ცხრამეტი (19) და ას ოთხმოც-და-ოთხი (184).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № ორმოც-და-თერთმეტი (51).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ორმოც-და-ჩვიდმეტი (57).

4 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ოც-და-ერთი (21).

6 სერიისა

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № სამი (3).

8 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ორმოც-და-სამი (43), ორმოც-და ექვსი (46) და ორმოც-და-ხუთი (45)

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ათი (10).

10 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ. ღირსებისა № ორმოც-და-ხუთი (45).

43½ წლით

6 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ექვსი (6) და ორმოც-და-თორმეტი (52).

8 სერიისა.

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № ოც-და-ოთხი (24).

9 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № ასს ოც-და-თექვსმეტი (136).

ორმოც-და ათის თუმნის (500 მ) ღირსებისა № ოც-და-თვრამეტი (38).

10 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ) ღირსებისა № ჩვიდმეტი (17).

54½ წლით.

1 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № შვიდი (7).

2 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ჩვიდმეტი (17) და ოც-და-ცხრამეტი (39).

3 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ სამოც-და თვრამეტი (78) და სამოც-და ორი (62).

4 სერიისა.

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № ორმოც-და-ორი (42).

5 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № სამოც-და-ხუთი (65).

2) გირავნობის ფურცელნი გამოცემულნი 17 თებერვალს 1881 წლის წესდების ძალით:

27½ წლით.

1 სერიისა

ათის თუმნის (100) ღირსების №№ ორ-ასს რვა (208), სამოცი (60) და ოთხმოც-და-შვიდი (87).

თხუთმეტის თუმნის (150 მ.) ღირსებისა №№ ოც-და თხუთმეტი (35), ხუთი (5), ორმოცი (40), თორმეტი (12) და ოც-და-ოთხი (24).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა №№ ასს თხუთმეტი (115), შვიდი (7) და ასს სამოც-და-ცხრა (169).

2 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ორასს ორმოც-და-ათი (250) და სამასს ოცი (320).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № ასს რვა (108).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა №№ ასს ოც-და ცხრა (129), ორასს ოც-და-შვიდი (227), ხუთასს ხუთი (505), ექვსასს ორმოც-და-სამი (643), ასს ოც-და-ცხრამეტი (139), სამასს ორმოც-და-რვა (348), ექვსასს ორმოც-და-ერთი (641), ხუთასს ოც-და-თერთმეტი (531) და ორასს თექვსმეტი (216).

3 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № სამოც-და-ცხრამეტი (79).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ოც-და-თოთხმეტი (34).

4 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ოთხმოც-და-ცხრა (89), ცამეტი (13) და ოც-და-ცხრამეტი (39).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა №№ ოც-და-შვიდი (27) და სამოც-და-ოთხი (64).

5 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსების №№ სამასს ოც-და-თვრამეტი (338), ორასს სამოც-და-ექვსი (266) და ორასს ოთხმოც-და-ოთხი (284).

6 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ოც-და-ცხრა (29).

7 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ორასს ოც-და ცამეტი (233) და ასს ოთხმოც-და-ხუთი (185).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა №№ სამასს ორმოც-და ორი (342), ორასს ორმოც-და-ერთი (241) და ორასს ოთხმოც-და-ჩვიდმეტი (297).

8 სერიისა.

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № ექვსი (6).

9 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ თვრამეტი (18), სამოცი (60) და სამოც-და-სამი (63).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № თორმეტი (12).

10 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ოც-და-თვრამეტი (38), ოც-და-რვა (28) და რვა (8).

11 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ორმოც და-თხუთმეტი (55), ოც-და-თვრამეტი (38), სამოცი (60) და ხუთი (5).

ორმოც-და ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № თოთხმეტი (14).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა №№ ორმოც-და-ცამეტი (53), ასს სამოც-და-თოთხმეტი (174), ორასს ოც-და თერთმეტი (231), სამოც-და-შვიდი (67) და ასს ოთხმოც-და სამი (183).

43½ წლით.

1 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № ოც-და-შვიდი (27).

თხუთმეტის თუმნის (150 მ.) ღირსებისა № თხუთმეტი (15)

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № თვრამეტი (18).

2 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ოც-და ოთხი (24), ორმოც-და-სამი (43) და თვრამეტი (18).

3 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ სამოც და-ჩვიდმეტი (77), შვიდი (7) და თოთხმეტი (14).

4 სერიისა.

ორმოც-და ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № ერთი (1).

5 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ) ღირსებისა №№ სამოც-და-რვა (68) და ასს რვა (108).

6 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ოთხმოც-და-თოთხმეტი (94), ოც-და-თერთმეტი (31) და ორმოც-და-თხუთმეტი (55).

7 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ორმოც-და-თექვსმეტი (56), ოც-და-თორმეტი (32), ორმოც-და-ჩვიდმეტი (57) და სამოც-და-ერთი (61).

8 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ორასს ოც-და-ჩვიდმეტი (237).

9 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ცამეტი (13) და ორმოც-და-ორი (42).

10 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № თექვსმეტი (16).

11 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ორი (2), ხუთი (5) და ერთი (1).

ფულის მიღება შეიძლება: ტფილისში—ბანკის კასსაში, ს.-პეტერბურგსა და ვარშავში—ბ-ნ ვავილბერგის საბანკირო კანტორებში, მოსკოვში—პოლიაკოვის კანტორასა და სახელმწიფო ბანკის ყველა განყოფილებათა და კანტორებში. (1—1)

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ГРУЗИНСКАЯ РѢЧЬ

или начальный курсъ грузинскаго языка для русскихъ, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 35 კაპ.

იქვე ისყიდება „ქართული ქრისტომატია“ უმცროსს კლასებში სახმარებელი. მიხ. ნასიძისა. ფასი 70 კაპ.

ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას პირდა პირ გამომცემლისაგან, მას მანათზე 20% დაეთმობა. (10—8)

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და სადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—24)

Дозв. ценз. Тиф. 7 декабря, 1886 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель). караванъ-сарай Бивш. Арцруни. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე